



გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდისა და უმაღლესი საეკლესიო საბჭოს ერთობლივი სხდომა



2021 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში ქრისტე მაცხოვრის საკათედრო ტაძრის საპატრიარქო დარბაზში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდისა და უმაღლესი საეკლესიო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

შეხვედრის დროს წარმოადგინეს ცნობები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდალური დანესებულებების საქმიანობის შესახებ.

დასასრულს უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ მადლობა მოახსენა სხდომის მონაწილეებს მუშაობისთვის და დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

შემდეგ უწმინდესმა მეუფემ გასცა საეკლესიო ჯილდოები.

გულმოდგინე მწყემსმთავრული ღვანლის გათვალისწინებითა და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით სინოდალური მისიონერული განყოფილების თავმჯდომარეს ბელგოროდისა და სტაროოსკოლის მიტროპოლიტ იოანეს პატრიარქის სამახსოვრო პანალია ებოძა.

გულმოდგინე მწყემსმთავრული ღვანლის გათვალისწინებითა და დაბადებიდან 70 წლისთავთან დაკავშირებით საპატიმროებში მსახურების სინოდალური განყოფილების თავმჯდომარე რამენის ეპისკოპოსი ირინარქი დაჯილდოვდა ღირსი სერაფიმე საროველის III ხარისხის ორდენით.

ხვალ, 29 დეკემბერს, დანილოვის მონასტრის საპატრიარქო და სინოდალურ რეზიდენციაში უწმინდესი პატრიარქი კირილე უხელმძღვანელებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2021 წლის ბოლო სხდომას.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს პრეს-სამსახური /

სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88734/>